9432/4-2/21 2 13092021

9432/4-2/21
13-09-2021

საქართველოს იუსტიციის მინისტრს,

ბატონ რატი ბრეგაძეს

ბატონო რატი,

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, გთხოვთ, მოგვაწოდოთ შემდეგი ინფორმაცია.

1. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 332^5 მუხლის შესაბამისად, პენიტენციურ დაწესებულებებში განთავსებული ბრალდებულის/მსჯავრდებულის მონაწილეობით რამდენი სასამართლო სხდომა გაიმართა დისტანციურად, კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით, აღნიშნული ნორმის ამოქმედებიდან (22.05.2020) დღემდე (გთხოვთ, შესაბამისი მონაცემები წარმოადგინოთ თვეების მიხედვით);

2. სასამართლო სხდომაში დისტანციურად მონაწილეობის უზრუნველსაყოფად სულ რამდენი პუნქტია მოწყობილი პენიტენციურ დაწესებულებებში და რამდენი სასამართლო სხდომის გამართვაა შესაძლებელი ერთდროულად. რამდენი პუნქტია თითოეულ ასეთ პენიტენციურ დაწესებულებაში (მასში განთავსებული პატიმრების რაოდენობის მითითებით);

3. რამდენად ხშირია დისტანციურად გამართული სასამართლო სხდომის შეფერხებების შემთხვევები ინტერნეტის ხარისხთან დაკავშირებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
მიხეილ სარჯველაძე